



2024

შპს „დენკ ფარმა კავკასია“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-4

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
5. შემოსავალი	14
6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14
7. სხვა შემოსავალი	14
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
9. სხვა ხარჯები	14
10. საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა	15
11. ძირითადი საშუალებები	15
12. არამატერიალური აქტივები	16
13. მარაგები	16
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
16. კაპიტალი	17
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
18. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები	17
19. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	18
20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დენკ ფარმა კავკასია“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დენკ ფარმა კავკასია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

სხვა ინფორმაციაზე ჩვენი პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან თუ სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

16 აპრილი, 2025

თბილისი, საქართველო

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ

შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

16 აპრილი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	22,057,530	20,486,723
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(12,979,632)	(11,895,802)
საერთო მოგება		9,077,898	8,590,921
სხვა შემოსავალი	7	157,000	73,315
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(7,139,375)	(7,830,918)
სხვა ხარჯები	9	(283,516)	(182,553)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		(52,188)	-
საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	10	(86,709)	(62,098)
მოგება გადასახადამდე		1,673,110	588,667
მოგების გადასახადის ხარჯი		(264,706)	-
წლის წმინდა მოგება		1,408,404	588,667
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,408,404	588,667

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

შპს "დენკ ფარმა კავკასია"
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	22,057,530	20,486,723
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	6	(12,979,632)	(11,895,802)
საერთო მოგება		9,077,898	8,590,921
სხვა შემოსავალი	7	157,000	73,315
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(7,139,375)	(7,830,918)
სხვა ხარჯები	9	(283,516)	(182,553)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		(52,188)	-
საკუროსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	10	(86,709)	(62,098)
მოგება გადასახადამდე		1,673,110	588,667
მოგების გადასახადის ხარჯი		(264,706)	-
წლის წმინდა მოგება		1,408,404	588,667
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,408,404	588,667

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	367,052	478,337
არამატერიალური აქტივები	12	368,007	360,905
სულ გრძელვადიანი აქტივები		735,059	839,242
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	2,520,722	2,128,184
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	7,597,497	6,323,452
წინასწარ დაფარული ხარჯები		198,509	210,041
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	895,873
ფული და ფულის ექვივალენტები	15	2,098,214	1,208,223
სულ მიმდინარე აქტივები		12,414,942	10,765,773
სულ აქტივები		13,150,001	11,605,015
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1	1
დამატებით გადახდილი კაპიტალი	16	87,252	87,252
გაუნაწილებელი მოგება		4,542,840	4,634,436
სულ კაპიტალი		4,630,093	4,721,689
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	8,518,214	6,883,326
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		1,694	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,519,908	6,883,326
სულ ვალდებულებები		8,519,908	6,883,326
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,150,001	11,605,015

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

შპს "დენკ ფარმა კავკასია"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	367,052	478,337
არამატერიალური აქტივები	12	368,007	360,905
სულ გრძელვადიანი აქტივები		735,059	839,242
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	13	2,520,722	2,128,184
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	7,597,497	6,323,452
წინასწარ დაფარული ხარჯები		198,509	210,041
საგადასახადო აქტივი, წმინდა		-	895,873
ფული და ფულის ექვივალენტები	15	2,098,214	1,208,223
სულ მიმდინარე აქტივები		12,414,942	10,765,773
სულ აქტივები		13,150,001	11,605,015
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	1	1
დამატებით გადახდილი კაპიტალი	16	87,252	87,252
გაუნაწილებელი მოგება		4,542,840	4,634,436
სულ კაპიტალი		4,630,093	4,721,689
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	8,518,214	6,883,326
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		1,694	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,519,908	6,883,326
სულ ვალდებულებები		8,519,908	6,883,326
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,150,001	11,605,015

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1	87,252	4,045,769	4,133,022
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	588,667	588,667
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1	87,252	4,634,436	4,721,689
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	1,408,404	1,408,404
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,500,000)	(1,500,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	1	87,252	4,542,840	4,630,093

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით გადახდილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	1	87,252	4,045,769	4,133,022
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	588,667	588,667
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1	87,252	4,634,436	4,721,689
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	1,408,404	1,408,404
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(1,500,000)	(1,500,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	1	87,252	4,542,840	4,630,093

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე





9-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს “დენკ ფარმა კავკასია”
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		1,673,110	588,667
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	8,11,12	267,539	236,365
საკუროსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		86,709	62,098
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	11	-	98,398
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		52,188	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები		2,079,546	985,528
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
მარაგების ზრდა		(392,538)	(159,771)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,421,433)	(1,068,740)
წინასწარ დაფარული ხარჯების შემცირება/(ზრდა)		11,532	(60,905)
წმინდა საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)		897,567	(219,761)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,703,849	1,065,455
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე		2,878,523	541,806
გადახდილი მოგების გადასახადი		(264,706)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		2,613,817	541,806
ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(1,500,000)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,500,000)	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	11	(190,143)	(209,833)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	12	(151,959)	(211,247)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	16	126,558	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(215,544)	(421,080)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		898,273	120,726
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	1,208,223	1,086,203
კურსთა შორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(8,282)	1,294
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	2,098,214	1,208,223

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

შპს "დენკ ფარმა კავკასია"
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		1,673,110	588,667
კორექტირებები:			
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი	8,11,12	267,539	236,365
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		86,709	62,098
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	11	-	98,398
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		52,188	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გასული) ფულადი სახსრები		2,079,546	985,528
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
მარაგების ზრდა		(392,538)	(159,771)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,421,433)	(1,068,740)
წინასწარ დაფარული ხარჯების შემცირება/(ზრდა)		11,532	(60,905)
წმინდა საგადასახადო აქტივების ზრდა/(შემცირება)		897,567	(219,761)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,703,849	1,065,455
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე		2,878,523	541,806
გადახდილი მოგების გადასახადი		(264,706)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		2,613,817	541,806
ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(1,500,000)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,500,000)	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	11	(190,143)	(209,833)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	12	(151,959)	(211,247)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	16	126,558	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(215,544)	(421,080)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა			
		898,273	120,726
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	1,208,223	1,086,203
კურსთა შორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(8,282)	1,294
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	2,098,214	1,208,223

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 16 აპრილს.

გენერალური დირექტორი
 ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
 ლია კობახიძე

1. ზოგადი ინფორმაცია

„დენკ ფარმა კავკასია“ (ყოფილი „დენკ ფარმა ჯორჯია“) (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 7 თებერვალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #230, თბილისი, საქართველო, ხოლო კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 405029295.

კომპანია დაკავებულია ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტირებითა და მათი გაყიდვით კომპანიებზე: სს „გეფა“ (ყოფილი სს „ეიბისი ფარმაცია“), შპს „პეესპე“ და შპს „ავერსი ფარმა“, რომლებიც არიან საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტების საცალო გამყიდველები, კომპანიაზე სს „ალფა-ფარმა“, რომელიც არის სომხეთში წამლის იმპორტიორი და საბითუმო და საცალო გამყიდველი და შპს „ზეითუნ ფარმაცევტიკალსზე“, შპს „ავრომედსა“ და შპს „აზერი მედზე“ რომლებიც ოპერირებენ აზერბაიჯანში და „საგ-ამან აიიზე“ თურქმენეთში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელი იყო „დენკ ფარმა GmbH & Co. KG“, გერმანია, რომლის საბოლოო მფლობელია შტეფან ჰუმბერი.

2. მომზადების საფუძველი

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ფასეული აქტივების სამართლიან ღირებულებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ექვი დაზადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შემოსავლის აღიარება - შემოსავალი არის ბიზნესის მიმდინარეობისას გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები შემოსავლის სამართლიანი ღირებულება. შემოსავლის აღიარება არ ხდება იქამდე, სანამ კლიენტს მომსახურება არ გაეწევა.

შემოსავლის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. რეალიზაციის პირობების საფუძველზე შემოსავლის ოდენობას აკლდება ფასდაკლებები და საქონლის უკან დაბრუნებები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქონლის რეალიზაცია - საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლების გადაცემის დროს, თუ კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანია არ ინარჩუნებს მენეჯერულ ჩართულობას ისეთი ხარისხით, რაც ჩვეულებრივ ასოცირდება მფლობელობასთან და არ ინარჩუნებს კონტროლს გაყიდულ საქონელზე;
- შემოსავლის ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანსაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს მოცემული კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის შეფასება სარწმუნოდაა შესაძლებელი.

იჯარა - იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება ყოველთვის, როდესაც იჯარის პირობები გულისხმობს მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის მოიჯარისათვის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო საიჯარო გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივად იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარით წარმოშობილი პირობითი იჯარა ხარჯად აღიარდება ხარჯის გაწევის პერიოდში.

უცხოური ვალუტები - კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის პირის ოპერირების ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ტრანსაქციები ისეთ ვალუტაში, რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული, წლის ბოლოს მოქმედი გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

გადასახადები - მოგების გადასახადები ირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- წარმოდგენილი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტიდან და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგების გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს შემდეგს: (ა) შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლისა და შესყიდვებზე დაწესებული აუნაზღაურებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობებისა და დისკონტების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ამ ერთეულის იმ ადგილას და მდგომარეობაში მოყვანასთან, რომელიც საჭიროა, რათა მან იფუნქციონიროს კომპანიის მენეჯმენტის მიერ დაგეგმილი სახით; (გ) ერთეულის დემონტაჟის, გატანისა და მისი ადგილმდებარეობის თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანის საწყის სავარაუდო ხარჯს; (დ) ვალდებულებას, რომელიც კომპანიას ერიცხება ერთეულის შესყიდვისათვის ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ამავე ერთეულის ისეთი სახით გამოყენებისათვის, რაც არ გულისხმობს ამავე პერიოდში მარაგების წარმოებას; და (ე) კვალიფიცირებული აქტივებისათვის, სესხის აღების კაპიტალიზებულ ხარჯებს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ისე, რომ ამ დროს მოხდეს აქტივის სარგებლიანობის ვადის განმავლობაში გამოსაკლები თანხის ჩამოწრა. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთებია:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	ცვეთის საპროცენტო განაკვეთი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
ოფისის აღჭურვილობა	10%
კომპიუტერები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ცვეთის თანხა არის ძირითადი საშუალების ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული თანხა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის ფასს გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში.

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება, სარგებლიანობის ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც საბუღალტრო შეფასების ცვლილება.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივები წარმოადგენს წამლის ლიცენზიებს და პროგრამულ უზრუნველყოფას. მათ შეფასებული სარგებლიანობის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით ერიცხება ამორტიზაცია კომპანიის მიერ ფლობილი ლიცენზიების სარგებლიანობის ვადა 5 წელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები - მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

მოძრაობა გასაყიდად განკუთვნილ საქონელში აღირიცხება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივები აღიარდება მხოლოდ პირობითობის რეალიზებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება სრულ შემოსავალში.

ფინანსური აქტივები - ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები; დაფარვის ვადით ფლობილი ინვესტიციები; გასაყიდად განკუთვნილი ფინანსური აქტივები; და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ბუნებასა და დანიშნულებაზე და დგინდება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიის მთავარი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ეკვივალენტები, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდიანების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული მოიცავს ბანკებში განთავსებულ ფულს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოწმდება გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად ინვესტიციის შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადები შეცვლილია.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალი აკლდება ანარიცხების ანგარიშის საშუალებით. თუ სავაჭრო მოთხოვნა უიმედოდ ჩაითვალია, ის ანარიცხების ანგარიშიდან ჩამოიწერება. უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ირიცხება ანარიცხების ანგარიშზე. ანარიცხების ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ და მისაღებ ანაზღაურებას შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო და სხვა გადასახდელები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური პროცენტის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი გადინებების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მისი მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი და დამატებით გადახდილი კაპიტალი - საწესდებო კაპიტალი და დამატებით გადახდილი კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, მენეჯმენტს ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

მარაგების ჩამოწერა - ვინაიდან მარაგებს დადგენილი მოხმარების ვადა აქვს, მენეჯმენტი ახდენს ვადაგასული მარაგების იდენტიფიცირებას და შემდგომ ახორციელებს მათ ჩამოწერას.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა - ძირითადი საშუალებების ერთეულის სარგებლიანობის ვადის დადგენა მენეჯმენტის განსჯის საგანია და მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას ეფუძნება. აქტივის სარგებლიანობის ვადის დადგენისას მენეჯმენტი მხედველობაში იღებს გამოყენების მოსალოდნელ ფორმას, მოსალოდნელ ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და აქტივის ექსპლუატაციის ფიზიკურ გარემოს. რომელიმე პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

5. შემოსავალი

2024 წელს კომპანიამ შემოსავალი მიიღო ფარმაცევტული პროდუქტების რვა ძირითად კონტრაგენტზე მიყიდვით. ესენია ადგილობრივი საცალო მოვაჭრეები: სს „გეფა“ (ყოფილი სს „ეიზისი ფარმაცია“), შპს „პეესპე“, შპს „ავერსი ფარმა“, რომლებიც „დენკ ფარმა კავკასიასგან“ ნაყიდ ფარმაცევტულ პროდუქტებს ადგილობრივ ბაზარზე ყიდნიან. ამასთანავე, „დენკ ფარმა კავკასიას“ მსხვილი კონტრაგენტები არის სს „ალფა ფარმი“, რომელიც „დენკ ფარმა კავკასიასგან“ პროდუქტებს ადგილობრივად ყიდულობს და ახდენს მათ დისტრიბუციას სომხეთში. აგრეთვე, „დენკ ფარმა კავკასია“ ახდენს რეალიზებას აზერბაიჯანში მოქმედ შპს „ზეითუნ ფარმაცევტიკალსზე“, შპს „ავრომედსა“ და შპს „აზერი მედზე“. 2024 წელს აქტიურად მოხდა რეალიზება კომპანია საგ-ამან აიი-სთან თურქმენეთში.

ჯამურად 2024 წელს საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 22,057,530 ლარი (2023: 20,486,723 ლარი).

6. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება სრულად შედგება რეალიზებული მედიკამენტების თვითღირებულებისაგან, რამაც 2024 წლისთვის შეადგინა 12,979,632 ლარი (2023: 11,895,802 ლარი).

7. სხვა შემოსავალი

2024 წელს, სხვა შემოსავალი შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტისგან, მშობელი კომპანიისგან მიღებული ფასდაკლებისგან და ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლისგან. 2023 წელს, ინვენტარიზაციის შედეგად შემოსავალი არ დაფიქსირებულა.

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	4,238,305	3,854,384
სარეკლამო ხარჯები	803,115	1,165,278
სკონსორობის ხარჯი	601,670	973,891
ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები	511,659	570,435
ცვეთა და ამორტიზაცია	267,539	236,365
საიჯარო ქირა	98,733	148,065
პროფესიული მომსახურეობის ხარჯი	71,467	63,985
საწვავის ხარჯი	68,825	75,398
სამივლინებო ხარჯები	49,806	88,788
საბანკო ხარჯი	25,968	29,246
კომუნიკაციის ხარჯები	8,715	8,498
მარკეტინგის ხარჯი	-	79,390
სხვა ხარჯები	393,573	537,195
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7,139,375	7,830,918

9. სხვა ხარჯები

	2024	2023
ვადაგასული პროდუქციის ჩამოწერის ხარჯი	282,427	168,408
სხვა ხარჯები	1,089	14,145
სულ სხვა ხარჯები	283,516	182,553

10. საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება	ზარალი	სხვაობა
ფული და ფულის ეკვივალენტები	35,843	(44,125)	(8,282)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	690,179	(621,218)	68,961
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	520,794	(668,182)	(147,388)
სულ საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	1,246,816	(1,333,525)	(86,709)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება	ზარალი	სხვაობა
ფული და ფულის ეკვივალენტები	24,739	(23,445)	1,294
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	478,016	(708,978)	(230,962)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	581,175	(413,605)	167,570
სულ საკუროს სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა	1,083,930	(1,146,028)	(62,098)

11. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერები	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	სულ
თვითღირებულება					
2022 წლის 31 დეკემბერი	72,777	97,773	356,239	108,278	635,067
შეძენა	492	2,188	207,153	-	209,833
ჩამოწერა	-	-	(129,008)	-	(129,008)
2023 წლის 31 დეკემბერი	73,269	99,961	434,384	108,278	715,892
შეძენა	3,200	1,575	185,368	-	190,143
ჩამოწერა	(6,706)	(17,301)	(212,438)	-	(236,445)
2024 წლის 31 დეკემბერი	69,763	84,235	407,314	108,278	669,590
დაგროვილი ცვეთა					
2022 წლის 31 დეკემბერი	29,563	51,116	70,689	2,864	154,232
წლის ცვეთა	7,284	13,759	76,992	15,898	113,933
ჩამოწერა	-	-	(30,610)	-	(30,610)
2023 წლის 31 დეკემბერი	36,847	64,875	117,071	18,762	237,555
წლის ცვეთა	6,823	11,572	88,389	15,898	122,682
ჩამოწერა	(361)	(11,834)	(45,504)	-	(57,699)
2024 წლის 31 დეკემბერი	43,309	64,613	159,956	34,660	302,538
საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 31 დეკემბერი	36,422	35,086	317,313	89,516	478,337
2024 წლის 31 დეკემბერი	26,454	19,622	247,358	73,618	367,052

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო დაგირავებული იპოთეკით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებაა 208,204 ლარი (2023: 143,086 ლარი).

12. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	508,072	24,056	532,128
შეძენა	202,170	9,077	211,247
2023 წლის 31 დეკემბერი	710,242	33,133	743,375
შეძენა	128,188	23,771	151,959
ჩამოწერა	(167,810)	-	(167,810)
2024 წლის 31 დეკემბერი	670,620	56,904	727,524
ცვეთა			
2022 წლის 31 დეკემბერი	248,472	11,566	260,038
ცვეთა	117,329	5,103	122,432
2023 წლის 31 დეკემბერი	365,801	16,669	382,470
ცვეთა	138,316	6,541	144,857
ჩამოწერა	(167,810)	-	(167,810)
2024 წლის 31 დეკემბერი	336,307	23,210	359,517
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	344,441	16,464	360,905
2024 წლის 31 დეკემბერი	334,313	33,694	368,007

13. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდად გამიზნული მედიკამენტები	2,519,132	2,126,287
საწვავი	1,590	1,897
სულ მარაგები	2,520,722	2,128,184

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ძირითადად წარმოდგენილია მოთხოვნებით შემდეგი იურიდიული პირების მიმართ: სს გეფა, შპს "ავრომედ კომპანი", შპს "ალფა-ფარმ იმპორტი", შპს "ზეითუნ ფარმაცევტიკალსი", შპს "ავერსი-ფარმა", შპს "პსკ ფარმა", შპს "აზერი მედ". სავაჭრო და სხვა მოთხოვნის ნაშთებიდან ვადაგადაცილებული არც ერთი არ არის.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ქართული ლარი	1,635,446	1,119,995
ევრო	462,768	88,228
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	2,098,214	1,208,223

2024 წელს ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია სს "თიბისი ბანკში", სს "ზირაათ ბანკი საქართველოში" და სს "პროკრედიტ ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრებით, ხოლო 2023 წელს მხოლოდ სს "თიბისი ბანკი".

16. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 ლარს, რომელიც 2014 წლის 31 დეკემბერს იქნა გადახდილი საქონლის უფასოდ მიწოდებით. კომპანიის დამატებით გადახდილი კაპიტალი მოიცავს მფლობელისგან უფასოდ მოწოდებულ საქონელს 87,252 ლარის ღირებულებით.

კომპანიას 2024 წელს გამოუცხადებია დივიდენდი 1,500,000 ლარის ოდენობით. 2023 წელს დივიდენდი არ გამოუცხადებია.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	8,427,801	6,775,109
სხვა ვალდებულებები	90,413	108,217
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,518,214	6,883,326

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს სავაჭრო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ნაშთს დაკავშირებულ მხარესთან, რომელიც პროდუქციის ერთადერთი მომწოდებელია.

18. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები

	31 დეკემბერი 2024				
	მფლობელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,850,468	90,413	118,497	48,774	8,108,152
შესყიდვები	13,205,258	-	122,864	-	13,328,122
იჯარა და შესაბამისი კომუნალური, ტრანსპორტირება-დასაწყობების ხარჯი	-	-	-	574,524	574,524
მივლინების ხარჯი	-	5,525	-	-	5,525
ძირითადი	-	-	-	-	-
საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	-	-	12,403	12,403
ხელფასის ხარჯი	-	1,431,743	-	-	1,431,743

	31 დეკემბერი 2023			
	მფლობელი	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,709,939	108,217	60,480	6,878,636
შესყიდვები	12,710,158	-	921,472	13,631,630
შემოსავალი	-	-	175,474	175,474
მარკეტინგის ხარჯი	-	-	22,487	22,487
იჯარა და შესაბამისი კომუნალური, ტრანსპორტირება-დასაწყობების ხარჯი	-	-	666,989	666,989
მივლინების ხარჯი	-	8,063	-	8,063
ხელფასის ხარჯი	-	1,301,535	-	1,301,535

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში გასაყიდად განკუთვნილი საქონლის 100% მოწოდებული იყო მფლობელის მიერ.

19. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას დასაფარი გარანტიები არ გააჩნია.

სამართლებრივი დავები - 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში არ მონაწილეობდა. ხელმძღვანელობის აზრით, მომავალში მნიშვნელოვანი ოდენობის დაურიცხავი ზარალის გაწევა მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ შექმნილა.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანსაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ფინანსური ანგარიშგება საგადასახადო შემოწმებისათვის ღია სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 16 აპრილს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დედა კომპანიაზე გამოაცხადა დივიდენდი 1,800,000 ლარის ოდენობით, ხოლო გასცა 450,00 ლარის ოდენობით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახავს.

„დენკ ფარმა კავკასია“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

1.	საქმიანობის მიმოხილვა	1
2.	განვითარების გეგმა	1
3.	კვლევის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	2
4.	ინფორმაცია თანამშრომელთა შესახებ	2
5.	ინფორმაცია ფილიალების შესახებ	2
6.	აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები	3
7.	ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ	4
8.	წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	5
9.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5

1. საქმიანობის მიმოხილვა


შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ საქმიანობა მოიცავს კომპანია დაკავებულია ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტირებითა და მათი გაყიდვით კომპანიებზე, კომპანია დაკავებულია ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტირებითა და მათი გაყიდვით კომპანიებზე: სს „გეფა“ (ყოფილი სს „ეიბისი ფარმაცია“), შპს „პეესპე“ და შპს „ავერსი ფარმა“, რომლებიც არიან საქართველოში ფარმაცევტული პროდუქციის საცალო გამყიდველები, კომპანიაზე სს „ალფა-ფარმა“, რომელიც არის სომხეთში წამლის იმპორტიორი და საბითუმო და საცალო გამყიდველი და შპს „ზეითუნ ფარმაცევტიკალსზე“, შპს „ავრომედსა“ და შპს „აზერი მედზე“ რომლებიც ოპერირებენ აზერბაიჯანში და „საგ-ამან აიიზე“ თურქმენეთში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელი იყო „დენკ ფარმა GmbH & Co. KG“, გერმანია, რომლის საბოლოო მფლობელია შტეფან ჰუბერი.

კომპანიამ კავკასიის რეგიონში ფუნქციონირება დაიწყო 2014 წელს და დღეისათვის მისი პორტფელი წარმოდგენილია 150-მდე დასახელების მედიკამენტისა და 11 ფარმაკოლოგიური ჯგუფისა და ფორმის სამკურნალო პრეპარატებით (ტაბლეტები, კაფსულები, სიროფები, ემულსიები, სუსპენზიები, საინექციო ხსნარები და ფხვნილები ფლაკონებში, კრემები, გელები, წვეთები, სპრეები და სხვ.).

კომპანია ახდენს პროდუქციის რეალიზაციას, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე საექსპორტო ქვეყნებში, ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (თურქმენეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი).

ორგანიზაციის სტრუქტურა



2. განვითარების გეგმა

შპს „დენკ ფარმა კავკასიამ“ დაარსების დღიდანვე შეიმუშავა სტრატეგია დაენერგა ევროპული სტანდარტები, რაც განაპირობებდა კომპანიის მიერ სარეალიზაციო პროდუქციის მაღალ ხარისხს, ეფექტურობასა და უსაფრთხოებას.

კომპანიის მისია არის „მოსახლეობის უზრუნველყოფა ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით“, რაც ჩადებულია კომპანიის პოლიტიკაში, სტრატეგიასა და მიზნებში.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, შპს „დენკ ფარმა კავკასიის“ უმაღლესი ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახდენს კომპანიის შიდა და გარე კონტექსტის ანალიზს და სამომავლო განვითარების გეგმების დასახვას, რაც მისი მუდმივი განვითარების წინაპირობაა.

2. განვითარების გეგმა (გაგრძელება)

შპს „დენკ ფარმა კავკასიაში“ მოქმედებს სტრატეგიული დაგეგმარების და ყოველწლიური მიზნების შემუშავების სისტემა, რომელიც ეფუძნება გასული წლების ანალიზის შედეგებს. 2024 წლის შედეგების საფუძველზე, მიმდინარე წლის განვითარების გეგმები ორიენტირებულია შემდეგზე:

- რეალიზაციის გაზრდის მიზნით დაგეგმილია ექსპორტის გაფართოვება. ამისთვის მიმდინარეობს მუშაობა კომპანიის პორტფელის გაზრდაზე აქტუალური მედიკამენტების კუთხით;
- პერსონალის მოტივაციის, კომპეტენციისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კომპანია კვლავაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა სისტემატურ კორპორატიულ სწავლებებს მრავალფეროვან თემატურ მიმართულებებში, რისთვისაც განსაზღვრულია სპეციალური ბიუჯეტი. აღსანიშნავია, რომ ფარმაცევტული სფეროს სპეციფიკური ტრენინგები ხორციელდება უშუალოდ გერმანული ოფისების მიერ, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ ხარისხსა და დარგობრივ სიღრმეს;

აღნიშნული მიზნების შესრულების მონიტორინგი ტარდება კვარტალურად და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი კორექტირება/გადაგეგმვა.

აღნიშნული ქმედებების საშუალებით, კომპანია უზრუნველყოფს მუდმივ განვითარებას, რაშიც აქტიურად არის ჩართული არა მხოლოდ უმაღლესი მენეჯმენტი, არამედ ასევე კომპანიის თითოეული თანამშრომელი.

3. კვლევის სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიის განვითარების სტრატეგია და მიზნები ეფუძნება ადგილობრივ და საერთაშორისო ფარმაცევტულ ბაზარზე უკვე არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებს, რომელსაც სისტემატურად იკვლევს და აანალიზებს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა.

4. ინფორმაცია თანამშრომელთა შესახებ

სულ თანამშრომლების რაოდენობა: 40

- ქალი თანამშრომელი - 75%
- მამაკაცი თანამშრომელი - 25%

5. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

კომპანიას გააჩნია 3 წარმომადგენლობა, სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქმენეთში. აღნიშნული წარმომადგენლობების მიზანს წარმოადგენს ადგილობრივ ბაზრებზე მომხმარებელთა მოზიდვა და პროდუქციის ექსპორტის გამარტივება კომპანიისათვის.

6. აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

გარდა ფინანსური მაჩვენებლებისა, კომპანიის სტრატეგია ორიენტირებულია ბიზნესის 4 მთავარ ხარისხობრივ (არა ფინანსურ) მაჩვენებელზე:

- სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხი
- მომხმარებლების კმაყოფილება/მათი უკუკავშირი
- კორპორატიული კულტურა და პერსონალის როლი
- მუდმივი განვითარება თითოეულის კუთხით,

კომპანიამ დაარსების დღიდან დაიწყო მუშაობა და დღეისათვის მიაღწია შემდეგს:

1. სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად, შპს „დენკ ფარმა კავკასია“ დაარსების დღიდან აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე.

2023 წელს კომპანია წარმატებით სერტიფიცირდა საერთაშორისო სტანდარტის - Good Distribution Practice (GDP)-ის შესაბამისად. ეს მნიშვნელოვანი გარემოება წარმოადგენს კომპანიის ურყევ პრიორიტეტს - სამედიცინო პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას მიწოდების მთელ ჯაჭვში. აღნიშნული სერტიფიკატი ასახავს გუნდის პროფესიონალიზმსა და დაუღალავ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ თითოეულ ეტაპზე - შენახვიდან საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებამდე - დაცული იყოს უმაღლესი სტანდარტები. ეს მიღწევა არა მხოლოდ განამტკიცებს სანდო რეპუტაციას ფარმაცევტულ ბაზარზე, არამედ ქმნის მყარ საფუძველს მომავალი წარმატებული პარტნიორობისა და მდგრადი განვითარებისთვის.

შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ ასევე წარმატებით აქვს გავლილი სხვადასხვა საექსპორტო ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების მიერ ჩატარებული ინსპექტირებები, რომლის საფუძველზეც კომპანია ახდენს პროდუქციის ექსპორტს თურქმენეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამასთან, GDP სტანდარტის მოთხოვნები ავალდებულებს კომპანიას, როგორც მომწოდებლებთან, ისე მიმღებებთან თანამშრომლობას რეგულაციების მკაცრი დაცვით, რაც უზრუნველყოფს მიწოდების ჯაჭვის გამჭვირვალობასა და უსაფრთხოებას.

GDP სერტიფიკატის პირობების გათვალისწინებით, შპს „დენკ ფარმა კავკასია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლის ხარისხს. GDP სტანდარტი ავალდებულებს კომპანიას, მკაცრი მოთხოვნები წაუყენოს არა მხოლოდ საკუთარ პროცესებს, არამედ პროდუქციის მომწოდებლებსაც. ხდება მათი წინასწარი კვალიფიკაცია, შერჩევა და რეგულარული მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას რეალიზაციისთვის საჭირო ყველა კომპონენტის უმაღლესი ხარისხი. ეს მიდგომა უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქციის უმაღლეს ხარისხს და მომხმარებლების უსაფრთხოებას, რაც GDP სერტიფიკატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

2. კომპანიის ხარისხობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს მომხმარებლის კმაყოფილების დონე და იმიჯი ბაზარზე. ფარმაკოლოგიური უსაფრთხოების მართვის პროცესები ხორციელდება გერმანიიდან. ფარმაკოლოგიური ზიანის ფაქტის გამოვლენისთანავე ინიცირდება მედიკამენტის ბაზრიდან ამოღების პროცედურა, რაც მოიცავს ყველა საფთაიქო ქსელიდან მისი გამოთხოვისა და შემდგომ

6. აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

განადგურების შესახებ განაცხადის დაფიქსირებას. აღნიშნულის საფუძველზე, შპს „დენკ ფარმა კავკასია“ ახდენს მომხმარებელთა ინტერესების და მოლოდინების იდენტიფიკაციას, ანალიზს და მათ გათვალისწინებას სამომავლო გეგმებში, რათა მომხმარებელთა კმაყოფილების დონე მუდმივად იყოს მაღალი.

კომპანიაში დანერგილი მომხმარებელთა საჩივრების მართვის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს თითოეული პრეტენზიის ძირულ გამოკვლევას და აღმოფხვრას. უნდა აღინიშნოს რომ წლების განმავლობაში მათი რიცხვი არის ძალიან დაბალი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რაიმე მნიშვნელოვანი საჩივრების შემთხვევები საექსპორტო ქვეყნებიდან არ დაფიქსირებულა.

3. კორპორატიული კულტურა და პერსონალის კვალიფიკაცია, მოტივაცია არის კომპანიის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

კომპანიაში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური პერსონალი ძირითადად ფარმაცევტული და სამედიცინო განათლებით, მათ შორის 90%-ს აქვს მიღებული განათლება სამედიცინო ფარმაცოლოგიის მიმართულებით. კომპანიაში დანერგილია პერსონალის სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ტრენინგებს გერმანიის ოფისებიდან, რაც მუდმივად უზრუნველყოფს არსებული კადრების მაღალი კომპეტენციის შენარჩუნებას.

კომპანიის მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ შპს „დენკ ფარმა კავკასიას“ პერსონალი ყოველთვის აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახის არასამსახურეობრივ აქტივობებში, რაც კომპანიის კორპორატიული კულტურის განმტკიცებასა და გუნდურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

4. კომპანიის ხელმძღვანელობა ორიენტირებულია მუდმივად ცვლადი გარემოსა და მზარდი კონკურენციის პირობებში წარმატებულ ფუნქციონირებაზე, რაც მუდმივი განვითარების გარეშე ვერ მოხდება. ამიტომ კომპანიის მიზნები, და განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგები, ორიენტირებულია სწორედ მუდმივ ზრდაზე და განვითარებაზე.

ბიზნეს ეთიკის კუთხით, შპს „დენკ ფარმა კავკასია“ პოლიტიკაში ჩადებულია ყველა საკანონმდებლო მოთხოვნების სრული დაცვა (არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საექსპორტო ქვეყნებშიც.), ასევე კომპანიის ყველა დონის პარტნიორთან და დაინტერესებულ მხარესთან სამართლიანი და გამჭვირვალე ურთიერთანამშრომლობა, მათვის საიმედოობისა და ხარისხის გარანტად ყოფნა.

7. ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

შპს „დენკ ფარმა კავკასია“ არ არის დაკავებული წილების ან აქციების გამოშვება/შეძენით.

8. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

საქმიანობის შეფასებისთვის კომპანია განიხილავს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- მომგებიანობის თვალსაზრისით, 2024 წლის შ.პ.ს „დენკ ფარმა კავკასიის“ EBITDA-ს მარჯაუ შეადგენს 6%-ს, რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გამოკლებული საპროცენტო შემოსავალი, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ ამონაგებთან, 2023 წლის მონაცემებთან (2%) შედარებით გაზრდილია 3%-ით.
- უკუგების თვალსაზრისით კაპიტალთან მიმართებაში შეადგენდა 30%, რაც 2023 წლის მონაცემებზე (12%) 18%-ით მეტია.
- უკუგება აქტივებზე 2024 წელს 13%, ხოლო 2023 წელს - 5%.
- მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 1.46-ს, 2022 წელს იგივე მონაცემი იყო 1.56.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „დენკ ფარმა კავკასიის“ რისკები რეგულარულად ანალიზდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. ანალიზის შედეგად რისკები კატეგორირდება რამდენიმე ჯგუფად და იგეგმება მათი აღმოფხვრის ღონისძიებები. რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების პროცესის შედეგად კომპანია გამოყოფს ქვემოთ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებულ რისკებს:

- საბაზრო;
- საკანონმდებლო;
- საერთაშორისო სტანდარტებთან;
- პერსონალთან, მის მოტივაციასთან, საკადრო პოლიტიკასთან;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან;
- შრომის უსაფრთხოებასთან;
- მომხმარებლებთან;
- პროდუქციის ხარისხთან;
- მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული რისკები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 აპრილ შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
ლია კობახიძე

8. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

საქმიანობის შეფასებისთვის კომპანია განიხილავს შემდეგ ფინანსურ მაჩვენებლებს:

- მომგებიანობის თვალსაზრისით, 2024 წლის შ.პ.ს „დენკ ფარმა კავკასიის“ EBITDA-ს მარჯაუ შეადგენს 6%-ს, რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გამოკლებული საპროცენტო შემოსავალი, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ ამონაგებთან, 2023 წლის მონაცემებთან (2%) შედარებით გაზრდილია 3%-ით.
- უკუგების თვალსაზრისით კაპიტალთან მიმართებაში შეადგენდა 30%, რაც 2023 წლის მონაცემებზე (12%) 18%-ით მეტია.
- უკუგება აქტივებზე 2024 წელს 13%, ხოლო 2023 წელს - 5%.
- მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 1.46-ს, 2022 წელს იგივე მონაცემი იყო 1.56.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „დენკ ფარმა კავკასიის“ რისკები რეგულარულად ანალიზდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. ანალიზის შედეგად რისკები კატეგორირდება რამდენიმე ჯგუფად და იგეგმება მათი აღმოფხვრის ღონისძიებები. რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების პროცესის შედეგად კომპანია გამოყოფს ქვემოთ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებულ რისკებს:

- საბაზრო;
- საკანონმდებლო;
- საერთაშორისო სტანდარტებთან;
- პერსონალთან, მის მოტივაციასთან, საკადრო პოლიტიკასთან;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან;
- შრომის უსაფრთხოებასთან;
- მომხმარებლებთან;
- პროდუქციის ხარისხთან;
- მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული რისკები.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 16 აპრილ შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
ბექა ბეჟანიძე

მთავარი ბუღალტერი
ლია კობახიძე

